ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№20
(გაერთიანებული, გარემოს დაცვის კომისიასთან)

ქ. თბილისი; 25 მაისი, 2018 წ. 11:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ნინო ლაცაბიძე
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
დავით ჭელიძე
ელენე ოზაშვილი
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი - მარიამ ჩივაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი - ვახტანგ ლომჯარია

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. ”შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ: 406024270) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. „შპს „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტსა“ (ს/ნ: 204513687) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის 2016 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის NE-327-16-20255 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შეცვლის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. „ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3788 კვ.მ (საკადასტრო კოდი: #01.14.03.039.069) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპუსი №2-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5496 კვ.მ (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.245) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი

განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპს“ (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“, ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისში, სამგორის ქუჩა #16-ში (საკადასტრო კოდი: # 01.17.11.014.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. “ქალაქ თბილისში, ხევმმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ 554 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.023.020) შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიასთვის“ (ს/კ: 404851503) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი სერვიტუტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების საკითხი.

13. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ წარმოდგენილი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ ინიცირებები (16 საკითხი).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის დაწყებამდე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს აცნობა, რომ სხდომას ესწრებოდნენ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობით და მასთან დაკავშირებული საკითხებით.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - მარიამ ჩივაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“, რომლის თანახმადაც, იმისათვის, რომ პირი გახდეს აღნიშნული პროგრამის მოსარგებლე, მიზანშეწონილია, თბილისში რეგისტრირებული იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მომართვამდე ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად.

მარიამ ჩივაძის თქმით, აღნიშნული ცვლილება დააბრკოლებს თბილისში გადმორეგისტრირების პროცესს და ხელს შეუწყობს რეგიონებში აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის საჭირო მომსახურებების შექმნასა და გაფართოებას.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებებით, ინდივიდუალური გეგმის ცვლილების შემთხვევაში, დაწესებულებებს შესაძლებლობა ეძლევათ კორექტირებული გეგმა წარადგინონ წინა თვის ბოლო რიცხვამდე, ნაცვლად წინა თვის 25 რიცხვისა.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, პროგრამაში ჩართვის მიზნით მიმართავს იმ დაწესებულებას, რომელშიც სურს მომსახურების მიღება, ნაცვლად მერიისათვის მიმართვისა. ასევე, მოსარგებლე პირი ნაცვლად მერიისა, დაწესებულებას მიმართავს იმ შემთხვევაშიც, თუ მას სურს დაწესებულების შეცვლა.

მარიამ ჩივაძემ დაამატა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, წარმოსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხიდან ხდება შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტის ამოღება, ვინაიდან ძირითად შემთხვევაში აუტისტ ბავშვებს არ გააჩნიათ აღნიშნული დოკუმენტი. ასევე, ცვლილების თანახმად მოსარგებლისათვის გაცემული არამატერიალიზებული ვაუჩერის გაუქმების საფუძველს ემატება, მოსარგებლის დიაგნოზის შეცვლა/მოხსნა, რაც უნდა დასტურდებოდეს მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით.

მარიამ ჩივაძის თქმით, ახალი რედაქციით ყალიბდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტი და

იმისათვის, რომ პროგრამით განსაზღვრული მომსახურებები იყოს უფრო მოქნილი და ბავშვის საჭიროებაზე ორიენტირებული, ქცევითი თერაპევტების მიერ შემოთავაზებულ იქნა მოსარგებლეების ასაკობრივი დაჯგუფება და გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიების რაოდენობების შესაბამისი განსაზღვრა.

ამასთან, მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილების პირველი მუხლის „ვ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესიდან" ამოღებულია მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი, რადგან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შეიქმნა და ამოქმედდა ფარმაცევტული პროდუქტის ფორმა N3-რეცეპტის ბრუნვის ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც ნაცვლად ექიმის მიერ რეცეპტის ქაღალდმატარებლის სახით პაციენტისათვის გაცემისა, რეცეპტი ელექტრონულად იგზავნება შესაბამის სააფთიაქო ქსელში, ხოლო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებით განსაზღვრული „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების" ქვეპროგრამის განხორციელების წესის მიხედვით კი იმისათვის, რომ მოსარგებლისათვის გაიცეს საგარანტიო წერილი მედიკამენტის დაფინანსებასთან დაკავშირებით, წარმოსადგენ დოკუმენტაციათა შორის წარმოდგენილ უნდა იქნეს რეცეპტი.

მომხსენებლის მითითებით, რეცეპტის ბრუნვის ელექტრონული სისტემის ამოქმედებიდან გამომდინარე, მოქალაქეები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას წარმოადგინონ აღნიშნული დოკუმენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ჩანაწერის ამოღება.

ასევე მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილების პირველი მუხლის „ზ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში, აღნიშნული ცვლილების თანახმად, მიმწოდებელს ეკისრება ვალდებულება ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარუდგინოს წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მიმწოდებლის ქვეპროგრამაში ჩართვის ან მიმწოდებლის მიერ მულტიდისციპლინური გუნდის დამატების შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის 31 აგვისტომდე, რომლის ჩართვაც მოხდება მომდევნო საბიუჯეტო წლის 1 იანვრიდან.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრის ქალბატონი ლილე ლიპარტელიანის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ დედაქალაქის გარდა სხვა ქალაქებში არ გაუმჯობესებულა პროგრამით მოსარგებლე პირებისთვის სერვისის მიწოდებისა და სარგებლობის შესაძლებლობა, ამასთან, წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს ბოლო 3 წლის განმავლობაში თბილისის მუნიციპალიტეტში უწყვეტად რეგისტრაციის პირობას, აღნიშნული აუარესებს რეგიონებში მცხოვრები ბენეფიციარების მდგომარეობას.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრის ნინო ლაცაბიძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისში ფუნქციონირებს კარგად გამართული ცენტრი, მაინც ხორციელდება თბილისში გადმორეგისტრირება რაც უარყოფითად აისახება დედაქალაქის ბიუჯეტზე. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი დააბრკოლებს თბილისში შემოდინების პროცესს.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის ბატონი ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, სასურველია დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტით სრულად ჩამოყალიბდეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების ახალი რედაქცია.

კომისიის თავმჯდომარემ დასძინა, რომ ამავე პრინციპის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლში განსახორციელებელი ცვლილებები, უნდა გაიწეროს ერთ ქვეპუნქტად, ცალკეულ ქვეპუნქტებად გაწერის ნაცვლად. ასევე, წესის მე-5 მუხლისათვის 10^1 მუხლის დამატების ნაცვლად, უნდა განხორციელდეს მე-11 პუნქტის დამატება და აღნიშნულის შესაბამისად მოხდეს მე-5 მუხლის პუნქტების ნუმერაციის ცვლილება.

ლევან ჟორჟოლიანმა იქვე დაამატა, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტში, პუნქტების და ქვეპუნქტების ნუმერაცია უნდა შეიცვალოს, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

წინააღმდეგი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრი ქალბატონი ლილე ლიპარტელიანი

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორმა - ვახტანგ ლომჯარიამ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის - **ვახტანგ ლომჯარიას** განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებებით იცვლება სააგენტოს სტრუქტურა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები. რეორგანიზაციის ფარგლებში სააგენტოში უქმდება ოთხი განყოფილება, მცირდება მენეჯერული პოზიციებისა და სხვადასხვა შტატების რაოდენობა, მათ შორის, ოპერატიული რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილების თანამშრომელთა რიცხვი.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების შემდგომ, ყურადღება გამახვილდება ცხოველთა თავშესაფარზე, რომელიც გახლავთ პრობლემების ეპიცენტრი. ამასთან, ზემოაღნიშნული შემცირებების ხარჯზე ცხოველთა თავშესაფარში გაიზრდება ვეტექიმების, ფერშლების, კინოლოგების, დამლაგებლებისა და სანიტარული დამლაგებლების რაოდენობა.

ვახტანგ ლომჯარიამ იქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები განხორციელდა ოპტიმიზაციის მიზნით, შეზღუდული ბიუჯეტიდან და არსებული რესურსებიდან გამომდინარე.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა **ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, თუ რომელ კონკრეტულ პოზიციებს შეეხება შემცირება.

ვახტანგ ლომჯარიამ უპასუხა შეკითხვას და განმარტა, რომ შემცირდება როგორც მენეჯერული პოზიციები, ასევე მაშველების რაოდენობა, ხოლო განხორციელებული შემცირებების ხარჯზე გაიზარდება ვეტექიმების, ფერშლების, კინოლოგების, დამლაგებლებისა და სანიტარული დამლაგებლების რაოდენობა.

ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა **ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა** მიმართა მომხსენებელს და განაცხადა, რომ გაუმართლებელია ოპერატიული რეაგირების იმთავითვე მცირე ჯგუფის შემცირება, ვინაიდან მათი რაოდენობა ისედაც არასაკმარისია.

ვახტანგ ლომჯარიამ განმარტა, რომ სააგენტოს ოპერატიული რეაგირების კუთხით გააჩნია არა პერსონალისა და ეკიპაჟების, არამედ მატერიალური, კერძოდ კი ავტომობილების პრობლემა.

საკრებულოს თავმჯდომარემ და გარემოს დაცვის კომისიის წევრმა **ბატონმა გიორგი ტყემალაძემ** მიმართა მომხსენებელს და დაინტერესდა, რომ შტატების შემცირების შედეგად სააგენტო იმუშავებს თუ არა გამართულად და ხომ არ შეიქმნება პრობლემები ოპერატიული რეაგირების მიმართულებით.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის განცხადებით, სასურველი იქნებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფში მეტი პერსონალის არსებობა. თუმცა, შეზღუდული ბიუჯეტის ფონზე, არსებული რესურსით, აქცენტი კეთდება ცხოველთა თავშესაფარზე, სადაც ცხოველებს უტარდებათ სტერილიზაცია და კასტრაცია, რომლის შედეგად ძაღლები ხდებიან ნაკლებ აგრესიულები, უსაფრთხოები და ცოფზე აცრილები.

ვახტანგ ლომჯარიამ დაამატა, რომ არსებობს მატერიალური, კერძოდ ავტომობილების პრობლემა, ხოლო რაც შეეხება მოსამსახურე პერსონალსა და ეკიპაჟებს, როგორც სააგენტოს დირექტორი იღებს პასუხისმგებლობას, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით არ შეიქმნება არანაირი სირთულე.

გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ლევან ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ხელმძღვანელობა იღებს პასუხისმგებლობას, რომ რეორგანიზაციის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები დადებითად აისახება სააგენტოს საქმიანობაზე და ხელს შეუწყობს სააგენტოს საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა, რომელიც ამავდროულად გახლავთ გარემოს დაცვის კომისიის წევრი - ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ მას გააჩნია უამრავი შეკითხვა და პრეტენზია სააგენტოს მიმართ და იგი მხარს არ დაუჭერს მათი მხრიდან წარმოდგენილ არცერთ ცვლილებას.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია დადგენილების სამართლებრივი საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითება.

კომისიის თავმჯდომარემ იქვე აღნიშნა, რომ ვინაიდან განსახორციელებელი რეორგანიზაციის შედეგად მოსალოდნელია გარკვეული ცვლილებები სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საშტატო ნუსხაში, სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლით განისაზღვროს დადგენილების ძალაში შესვლის კონკრეტული თარიღი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორმა - ვახტანგ ლომჯარიამ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს

გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ვახტანგ ლომჯარიას განმარტებით, წარმოდგენილია ფასიანი მომსახურების ტარიფის ცვლილება, კერძოდ ქვეწარმავლების წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაზე (ტერიტორიის რეპელენტით დამუშავება), რომლის ფარგლებშიც მოხდება მიწის ნაკვეთების შეწამვლისთვის განკუთვნილი 50 (ორმოცდაათი) თეთრის 7 (შვიდი) თეთრამდე შემცირება. ასევე, მცირდება სხვა კატეგორიების მომსახურეობის საფასურებიც.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ ამჟამად მოქმედი ტარიფები ბაზარზე არსებული მდგომარეობასთან მიმართებაში შეუსაბამოა და უნდა განხორციელდეს ადეკვატური, ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესაბამისი საფასურის შეთავაზება მოსახლეობისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, ხოლო თუ მომავალში ადგილი ექნება შეწამვლისთვის განკუთვნილი მედიკამენტების გაძვირებას, შესაძლებელი გახდება მსჯელობა ტარიფის მომატებაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ასევე, დადგენილების პროექტის მეორე მუხლში კონკრეტულად მიეთითოს დადგენილების ამოქმედების თარიღი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

რიგით მე-2 და მე-3 საკითხების განხილვის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიამ დატოვა გაერთიანებული სხდომა და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ განაგრძო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი " შპს „ას ჯორჯიას" (ს/ნ: 406024270) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას" შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აღნიშნულ კომპანიას ჰქონდა ვალდებულება 15 ჰა მიწის ფართობზე განეხორციელებინა (დენდროლოგიური) დასვენების პარკის პროექტი, ინვესტიციების მინიმალური შენატანით, რომელიც შეადგენდა ფულად ეკვივალენტში თანხას, არანაკლებ 3 000 000 (სამი მილიონი) აშშ დოლარს.

მომხსენებლის თქმით, ვინაიდან "შპს „ას ჯორჯიას" მხრიდან დარღვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პარკის პროექტის წარმოდგენის ვადა და მის მიერ არ ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები, რათა დაიწყოს პარკის მშენებლობა, ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას" შორის გაიმართა მოლაპარაკებები აღნიშნულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ცალკეულ საკითხებზე მოლაპარაკება.

ირაკლი თავართქილაძის განცხადებით, მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ "შპს „ას ჯორჯია", ნაცვლად 15 ჰა მიწაზე დენდოლოგიური პარკის მშენებლობისა განახორციელებს 7.5 ჰა-ზე პარკის მშენებლობას, ხოლო დარჩენილ 7.5 ჰა-ზე ასევე განახორციელებს საცხოვრებელი ბინების მშენებლობას. ამასთან, აშენებული საცხოვრებელი ბინების 5 (ხუთი) პროცენტს საკუთრებაში გადმოსცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

მომხსენებელმა დაამატა, რომ პარკის მშენებლობის დასრულებიდან გარკვეული პერიოდის შემდგომ, თუკი კომპანია გამოიყენებს 7.5 ჰა-ზე გაშენებული პარკის მოვლა-პატრონობის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის შესაძლებლობას, ეკისრება ვალდებულება პარკის მოვლა-პატრონობის ვალდებულების სანაცვლოდ, თბილისის მუნიციპალიტეტს დამატებით გადმოსცეს აშენებული საცხოვრებელი ბინების 1.5 პროცენტი.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის თქმით საპრივატიზებო პირობების ცვლილებების გარდა, წარმოდგენილი პროექტი ასევე ითვალისწინებს შპს „ას ჯორჯიასთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე თანხმობის გაცემას.

სააგენტოს უფროსის განმარტებით ასევე, საბანკო გარანტია ნაცვლად 300 000 (სამასი ათასი) აშშ დოლარისა იქნება 400 000(ოთხასი ათასი) აშშ დოლარი.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრი ქალბატონი ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარეს არსებული მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხი შეთანხმებული არის თუ არა მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის ჯგუფთან.

ირაკლი თავართქილაძემ უპასუხა ლილე ლიპარტელიანს და განაცხადა, რომ არ არსებობს აღნიშნული საკითხის გენერალური გეგმის ჯგუფთან შეთანხმების არანაირი საფუძველი.

საკრებულოს თავმჯდომარის ბატონი **გიორგი ტყემალაძის** განმარტებით, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარეს არსებული მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხი გახლავთ აღნიშნული კომპანიისთვის შესაძლებლობა და არა ვალდებულება, შესაბამისად, თუკი დადგება აღნიშნულის განხორციელების საკითხი, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული გენერალური გეგმის ჯგუფის პოზიცია.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, სასურველია, განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით გადაწყვიტოს პირდაპირი განკარგვის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების საკითხი.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, ვინაიდან წარმოდგენილი განაკრგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე თანხმობის გაცემას, შესაბამისად, სასურველია, აღნიშნული მიეთითოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურში და განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

წინააღმდეგი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრი ქალბატონი ლილე ლიპარტელიანი

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „შპს „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტსა" (ს/ნ: 204513687) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის 2016 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის NE-327-16-20255 ხელშეკრულებით

გათვალისწინებული პირობის შეცვლის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „შპს „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტსა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის 2016 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის თანახმად, „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტს“ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პარალელურად, დამატებითი ვალდებულების ფარგლებში განესაზღვრა, N01.14.15.001.315 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან არანაკლებ 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, აუქციონის ჩატარებიდან არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში, ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობის აშენება ან არსებული შენობის 200 კვ.მ. ფართის რეკონსტრუქცია, სადაც შემდგომში განთავსდებოდა მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოფიზიკური ობსერვატორია

ირაკლი თავართქილაძის თქმით, მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, აღნიშნულმა კომპანიამ ვერ განახორციელა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტის მერიასთან შეთანხმება, აღნიშნული პროექტის ფარგლებში კი ასევე განიხილებოდა ზემოხსენებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის პროექტი და ნებართვა.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ხსენებულ კომპანიასთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად, შესაძლებელი გახდა მშენებლობის პროექტისა და ხელშეკრულების ზოგიერთი დეტალის ცვლილება, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა მოსახლეობის ინტერესები.

ირაკლი თავართქილაძემ დაამატა, რომ წარმოდგენილი პროექტით მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის 2 (ორი) წლით გადავადება.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პრეამბულაში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 127² მუხლის კონკრეტული პუნქტი, კერძოდ: მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, მთავრობა განიხილავს წარდგენილ მიმართვას და, საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, პრივატიზებულ, სარგებლობის უფლებით გადაცემულ ან მართვის უფლებით გადაცემულ თბილისის ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) (გარდა ფინანსური და საინვესტიციო პირობისა (პირობებისა)) შეცვლის ან გაუქმების შესახებ წინადადებას გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს თბილისის საკრებულოს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

წინააღმდეგი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრი ქალბატონი ლილე ლიპარტელიანი.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3788 კვ.მ (საკადასტრო კოდი: #01.14.03.039.069) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერეტივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტი ეტაპობრივად აკმაკოფილებს კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებს, ამჯერად წარმოდგენილი პროექტით ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3788 კვ.მ უძრავი ქონების, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლება მონაცვლეებისათვის სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაცემა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ დადებითად შეაფასა კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების პროცესის გააქტიურება.

ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში არასწორად არის მითითებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების ნომერი, რაც ასახულია კომისიის დასკვნაში და შესაბამისად უნდა გასწორდეს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპუსი №2-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5496 კვ.მ (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.245) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5496 კვ.მ. უძრავი ქონების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლება მონაცვლეებისათვის სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაცემას, კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, ცხადდება ინტერესთა გამოხატვა ინვესტორის შერჩევაზე, რომელიც ჩაატარებს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევას და გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ ააშენებს მრავალდონიან

მიწისქვეშა ავტოსადგომს, რომელსაც შემდგომ უსასყიდლოდ გადმოსცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

მომხსენებელმა დასძინა, რომ თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მიწის ნაკვეთის სავარაუდო ფართობია 2304 კვ.მ, ავტოსადგომების მინიმალურ ოდენობად განსაზღვრულია -183 ერთეული. ამასთან, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს ქონება გადაეცემა პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ხოლო აღნაგობის ვადად განსაზღვრულია 27 წელი შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან.

მომხსენებელმა იქვე დაამატა, რომ წინასამშენებლო საბანკო გარანტია არის 91 500 (ოთხმოცდათერთმეტიათას ხუთასი) ლარი, ხოლო მინიმალური სამშენებლო საბანკო გარანტია გახლავთ 457 500 (ოთხასორმოცდაჩვიდმეტიათას ხუთასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, 26 მაისის მოედანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის მიზნით გასხვისდა, თუმცა, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, მოედნის ტერიტორიაზე ტექნიკურად შეუძლებელი გახდა აღნიშნული პროექტის განხორციელება.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ამავე შეცდომის თავიდან ასაცილებლად, სასურველია, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობისთვის განკუთვნილი ტერიტორიის გასხვისება მოხდეს ინვესტორის მიერ ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების შემდგომ.

ირაკლი თავართქილაძემ უპასუხა ლილე ლიპარტელიანს და განაცხადა, რომ სდება მიწისქვეშა პარკინგების მშენებლობისთვის განკუთვნილი ტერიტორიების სარგებლობის უფლებით გადაცემა და არა გასხვისება.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა ასევე განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი თავართქილაძემ საკრებულოს წინა სხდომაზე უარყო თავის მიერ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე გაჟღერებული ინფორმაცია ავტოსადგომების ფართის 1/3-ზე კომერციული ობიექტების განთავსებასთან დაკავშირებით, ის დარწმუნებულია, რომ აღნიშნული ავტოსადგომების 1/3-ზე აუცილებლად განთავსდება კომერციული ფართები.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 16 მაისის N18.316.571 განკარგულება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

წინააღმდეგი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრი ქალბატონი ლილე ლიპარტელიანი

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპს“ (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“, ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპს“ (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“) შორის გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებას, რომლის მიხედვითაც, მოიჯარე ვალდებული გახლდათ, ხელშეკრულებაში მითითებულ 30 (ოცდაათი) ლოკაციაზე განეთავსებინა რეტერატები (საზოგადოებრივი საპირფარეშოები).

ირაკლი თავართქილაძის თქმით, წარმოდგენილი პროექტით, ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში დაზუსტდება ტექნიკური ხასიათის დეტალები. კერძოდ რეტერატების აღჭურვის ტექნიკური მოთხოვნებიდან გარკვეული პუნქტების შესრულების შეუძლებლობის გამო მოხდება ხელშეკრულების მე-2 მუხლიდან იმ ქვეპუნქტების ამოღება, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივ საპირფარეშოებში; ანტივანდალური ფოლადის უნიტაზის (დეზინფექციის ფუნქციით), თვითმცლელი ნაგვის ურნის, ტუალეტის ქაღალდის ავტომატური შემავსებლის განთავსებას.

მომხსენებელმა დაამატა, რომ აღნიშნული ხელშეკრულების მე-2 მუხლიდან ასევე ამოღებული იქნება ქვეპუნქტი, რომელიც განსაზღვრავს რეტერატის წყლის გამაცხელებლით აღჭურვის ვალდებულებას, ვინაიდან გაბარიტებიდან გამომდინარე, მცირე ზომის ტექნიკურ ოთახში, წყლის გამათბობლის განთავსება შეუძლებელია.

აზრი გამოთქვეს:

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები დაინტერესდნენ, რამდენად ადაპტირებული იქნება აღნიშნული ობიექტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

ირაკლი თავართქილაძის თქმით ზემოხსენებული ხელშეკრულება ითვალისწინებს საზოგადოებრივი საპირფარეშოებში შშმ პირებზე ადაპტირებული გარემოს შექმნას.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, რატომ დაგვიანდა 2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

მომხსენებელმა განმარტა, რომ შეიცვალა კომპანია რომელსაც უნდა განეხორციელებინა აღნიშნული პროექტი. ამასთან, ახალმა ინვესტორებმა პროექტის ფარგლებში შეცვალეს და გააუმჯობესეს ხარისხი და დიზაინი, ხოლო აღნიშნულის განხორციელებას დასჭირდა გარკვეული დრო.

ლევან ჟორჟოლიანმა მიმართა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს და განმარტა, რომ თვითმმართველობის ფარგლებში განხორციელებული ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი, (მაჟორიტარებისა და გამგებლების აქტიური მუშაობის შედეგად), გახლავთ უნივერსალური დიზაინით აღჭურვილი, რაც ითვალისწინებს შშმ პირებზე ადაპტირებული გარემოს შექმნას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, სამგორის ქუჩა #16-ში (საკადასტრო კოდი: # 01.17.11.014.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სამგორის ქუჩა #16-ში მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებელმა დაამატა, რომ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილია ისნის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, განკარგულების პროექტის სათაურში უნდა ჩაემატოს შემდეგი სიტყვები „საკითხის შეთანხმების“ და განკარგულების პროექტის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ქალაქ თბილისში, სამგორის ქუჩა #16-ში (საკადასტრო კოდი: # 01.17.11.014.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ 554 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.023.020) შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიასთვის“ (ს/კ: 404851503) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი სერვიტუტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ 554 კვ.მ მიწის ნაკვეთი, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, სერვიტუტის ფორმით, 25 (ოცდახუთი) წლის ვადით გადაეცემა შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე განმარტა, რომ , შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, 45 000 000 (ორმოცდახუთი მილიონი) ინვესტიციით, უახლესი თანამედროვე სტანდარტებისა და ტექნოლოგიების შესაბამისად. ამასთან, შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ დირექტორმა ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი წერილის საფუძველზე მოითხოვა აღნიშნული სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 554 კვ.მ მიწის ნაკვეთის სერვიტუტის ფორმით გადაცემა იმ მოტივით, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი დაკავშირებულია სავაჭრო ცენტრის მისასვლელთან და შესაბამისად, საჭიროა სერვიტუტის ფორმით სარგებლობის უფლებით განკარგვა ე.წ „დრაივის“ ფუნქციონირების მიზნით.

მომხსენებლის თქმით, სსიპ -ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, სერვიტუტით სარგებლობის წლიური იჯარის ღირებულებად განისაზღვრა 8 161 (რვა ათას ასსამოცდაერთი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ლილე ლიპარტელიანის განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ კომპანიას დარღვეული აქვს წითელი ხაზები, დამატებით უძრავი ქონების გადაცემის სანაცვლოდ უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფუნქციური დანიშნულების გაუქმება.

კომისიის თავმჯდომარის ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტში გასწორდეს არსებული ტექნიკური ხარვეზი და სამართლებრივ საფუძვლები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

წინააღმდეგი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრი ქალბატონი ლილე ლიპარტელიანი

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. სხდომის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების შესახებ საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მ/წლის 14 მაისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა საკრებულოს წევრმა ქეთევან მამულაშვილმა განცხადებით და გამოთქვა სურვილი, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა დასძინა, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ მოამზადა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი შესაბამისი დანართებით, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების საკითხის თაობაზე“ მომზადებულ დასკვნას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების საკითხის თაობაზე დასკვნას დანართის სახით დაერთვება კომისიის მიერ მომზადებული “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების საკითხის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც განხილულ იქნება ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

13-28 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ - თინათინ ნიბლოშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა თავის მიერ წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი განკარგულებათა პროექტები:

- ✓ “ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის მოედნისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ“;
- ✓ “ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, მირ ვეზიროვის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ“;
- ✓ “ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სერგო სურგულაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ევგენი გეგეჭკორის სახელის მინიჭების შესახებ“;
- ✓ „ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის ალექსანდრე ლომთათიძის სახელის მინიჭების შესახებ“;
- ✓ “ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვარდების რევოლუციის მოედნისთვის პირველი რესპუბლიკის სახელის მინიჭების შესახებ“;
- ✓ “ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის სამსონ ფირცხალავას სახელის მინიჭების შესახებ“;
- ✓ ქ. თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ეკატერინე მელიქიშვილის სახელის მინიჭების შესახებ”;
- ✓ “ქ. თბილისში, ისნის რაიონში, სურენ სპანდარიანის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის გიორგი ლასხიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;
- ✓ “ქ. თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ”;
- ✓ “ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

- ✓ "ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, აბელ ენუქიძის ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის პეტრე სურგულაძის სახელის მინიჭების შესახებ";
- ✓ "ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მელიტონ ფილიას ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის სიმონ მდივანის სახელის მინიჭების შესახებ";
- ✓ „ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის ვლასა მგელაძის სახელის მინიჭების შესახებ";
- ✓ "ქ. თბილისში, ისნის რაიონში, გრიგოლ მათიაშვილის ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის ელისაბედ ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ";
- ✓ "ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვასილ კიკვიძის ქუჩისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის სახელმწიფო მოღვაწის ბენიამინ ჩხიკვიშვილის სახელის მინიჭების შესახებ";
- ✓ "ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ვლადიმერ მიქელაძის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ნოე ხომერიკის სახელის მინიჭების შესახებ".

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ საკრებულოს წევრებთან გამართული ზეპირი კონსულტაციების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება მოემზადებინა ინიციატივები რიგი გეოგრაფიული ობიექტებისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებული სახელწოდებების მინიჭების შესახებ.

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ დამუშავდა ქალაქში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები და როგორც გაირკვა ობიექტთა გარკვეული რაოდენობა ამ დრომდე ატარებს საბჭოთა ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული ნომენკლატურის სახელწოდებებს, შესაბამისად, კომისიას მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ხსენებული ქუჩების უმრავლესობის სახელწოდებების ცვლილება განხორციელდეს დამოუკიდებლობის მოპოვების ასი წლის იუბილეზე, ხოლო ამ ობიექტების უმრავლესობას მიენიჭოს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელმომწერი და საქართველოს ევროპული არჩევანის გულშემატკივარი საზოგადო მოღვაწეების სახელწოდებები.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის თქმით, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების ასი წლის იუბილესთან დაკავშირებითა და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელობის გათვალისწინებით კომისიამ მიიჩნია, რომ ქალაქის ერთ-ერთ მთავარ მოედანს მიენიჭოს პირველი რესპუბლიკის სახელი. ამასთან, სახელწოდების გადარქმევის მიზნით კომისიის მიერ განხილულ იქნა ვარდების რევოლუციის მოედანი, ვინაიდან კომისიამ მიიჩნია, რომ ცალკეულ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით სახელწოდებები, ძეგლები და სხვა სიმბოლოები ქალაქში შესაძლოა გაჩნდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი პერიოდის გასვლის შემდგომ, რათა საზოგადოებას მიეცეს შესაძლებლობა სათანადოდ შეაფასოს ესა თუ ის მოვლენა.

თინათინ ნიბლოშვილმა დაამატა, რომ ვარდების რევოლუციის მოედანისთვის სახელწოდების გადარქმევის თაობაზე გამართული საჯარო განხილვისას მხარდაჭერილი იქნა წარმოდგენილი ინიციატივა სახელწოდების ფორმულირებასთან დაკავშირებით და სახელად მოწონებული იქნა - პირველი რესპუბლიკის მოედანი.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა, ვარდების რევოლუციის მოედანისთვის სახელწოდების გადარქმევის თაობაზე ჩატარებული საჯარო განხილვის შესახებ და დაინტერესდა, 16 (თექვსმეტი) გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელის გადარქმევის საკითხთან დაკავშირებით გაიმართა თუ არა მოსახლეობასთან შეხვედრა მათი გამოკითხვის მიზნით.

ლილე ლიპარტელიანის თქმით, თუკი ნაციონალური მოძრაობის მხრიდან დაყენებული ინიციატივა, კერძოდ, მოსკოვის გამზირისთვის არჩილ ტატუნაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხი საჭიროებს მოსახლეობის გამოკითხვას, რატომ განხორციელდა დღეს წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვის ფორმატში გადაწყვეტა.

თინათინ ნიბლოშვილმა უპასუხა მომხსენებელს და განმარტა, რომ ვარდების რევოლუციის მოედანისთვის სახელწოდების გადარქმევის საკითხთან დაკავშირებით, მოსახლეობასთან კონსულტაციის მიზნით, კომისიამ აღნიშნული ინიციატივა გამოაქვეყნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე. ამასთან, საკითხი არაერთხელ იქნა გაშუქებული მედიით.

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, ნებისმიერი დაინტერესებული პირი, უფლებამოსილი გახლდათ საკითხის გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიისთვის წარედგინა წერილობით საკუთარი მოსაზრება და საჯარო განხილვის ფორმატში მონაწილეობა მიეღო საკითხის შესწავლასა და განხილვაში.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის თქმით, რაც შეეხება მოსახლეობის გამოკითხვასა და მოსკოვის გამზირისთვის არჩილ ტატუნაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხს, კომისიას გააჩნია უფლებამოსილება, გადაწყვეტილების მიღების მიზნით აირჩიოს მოსახლეობასთან კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმა, იქნება ეს პირადი შეხვედრები თუ სხვა. ამასთან, ნებისმიერი საკითხის საჯაროდ განხილვა აუცილებელი და სავალდებულოა.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ წარმოდგენილი ოქმებით დასტურდება, რომ სხდომაზე წარმოდგენილმა, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ კომისიის ინიცირებებმა გაიარეს ყველა შესაბამისი პროცედურა.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, კომისიას გააჩნია დისკრეცია აირჩიოს მოსახლეობასთან კომუნიკაციის ფორმა. რაც შეეხება მოსკოვის გამზირისათვის არჩილ ტატუნაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხს, თუკი მოსახლეობის ნება იქნებოდა მარტივად შეიძლებოდა საკრებულოსთვის მომართვა და სახელის გადარქმევა, არსებობს ამისთვის მოსახლეობის ჩართულობის ფორმა - პეტიცია.

ლილე ლიპარტელიანის თქმით, ვარდების მოედნისათვის სახელის გადარქმევის ინიცირება და გამოქვეყნება მოხდა ძალიან სწრაფად, რაც სხვა საკითხებთან მიმართებაში ასე სწრაფად არ მომხდარა.

აღნიშნულის საპასუხოდ ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ეს ბუნებრივია, რადგან 26 მაისი ახლოვდება, რასთან დაკავშირებითაც ხდება სიმბოლურად აღნიშნული ცვლილება.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულებათა პროექტების სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი,** ამასთან, უნდა გასწორდეს წარმოდგენილი პროექტების სამართლებრივ საფუძვლებში არსებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზები.

გადაწყვიტეს:

"ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვარდების რევოლუციის მოედნისთვის პირველი რესპუბლიკის სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ზემოაღნიშნულ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

ასევე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წარმოდგენილ თხუთმეტი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი		ნინო ჯალაღანია